პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის __ აგვისტო

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში არსებული მე-5 ქუჩის მიმდებარე ჩიხის სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი " 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ" მე-8 მუხლის, მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის, ასევე მე–7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე–15 პუნქტის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის მე-5 ქუჩის მიმდებარედ არსებულ ჩიხს ეწოდოს - მე-5 ქუჩის პირველი ჩიხი (დანართი საკადასტრო რუკის სახით თან ერთვის)..
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერსა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას.
3. შემდგომი რეაგირების მიზნით, აღნიშნული გადაწყვეტილება გადაიგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოში.
4. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას კონკრეტული ღონისძიებების გატარება.
5. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — ნიკა მჟავია

29.12.35.722
29.12.35.692
29.12.35.723
29.12.35.718
02 (1)
01 (5)
03 (1)
29.12.35.336
29.00.225
29.12.35.691
29.12.35.333
29.12.35.633
29.12.35.634
29.12.35.393
02 (1)
NAPI
29.12.35.605
NAPR
29.00.225
29.12.35.614
29.00.225
29.00.225
29.12.35.761
02 (1)
1 :